აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №25

26 ოქტომბერი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
11[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, ირაკლი გვარამია, კახაბერ ჯაიანი, მამუკა კოპალეიშვილი და ნუგზარ ბაჯელიძე.

არ ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, თორნიკე მჟავანაძე და მამუკა ჯაში

აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლი და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	10;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

1. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, იმ საოლქო საარჩევნო კომისიებში (№80 ქედა, №82 შუახევი და №84 ხულო) სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური, ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება უსკოს მიერ არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის 21 ოქტომბრის №14 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის №80 ქედის, №82 შუახევის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) თავმჯდომარე - 960 ლარი;
ბ) თავმჯდომარის მოადგილე - 810 ლარი;
გ) კომისიის მდივანი - 740 ლარი;
დ) კომისიის წევრი - 690 ლარი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. იმ საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა, სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური, არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,

ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**